# 1 ივლისი

რიგ. ჟ. XIII კვირადღე, «ბ» [I] მწ

## 2012 კვირა

სიბრ 1,13-15; 2,23-24; ფს 29; 2კორ 8,7.9.13-15; მარ 5,21-43

## დიდძალი ხალხი მისდევდა მას მარ 5,24

უფალო იესო, ვხარობ, როცა საკვირაო ევქარისტიაზე შენს გარშემო შეკრებილ მრავალ ძმას ვხედავ: ერთად ვეწაფებით შენს სიყვარულს, რომელიც ჩვენთვის პურისა და სიტყვის კონკრეტულ ნიჭად გარდაიქმნება. და, როგორც ეს იმ დღეს ხალხში ჩაკარგულ ქალს დაემართა, შენი მამობრივი სიყვარული ჩვენამდე აღწევს და სათითაოდ გვაჯანსაღებს. გმადლობთ. იესო!

# 2 ივლისი

რიგ. ყ. XIII კვირა [I] მწ

2012 ორშაბათი

ამ 2,6-10.13-16; ფს 49; მთ 8,18-22

## კაცის ძეს კი არსად არა აქვს თავის მისადრეკელი მთ 8,20

იესო ხელს არ კრავს მწიგნობარს, რომელსაც სურს გაჰყვეს მას, უბრალოდ განუმარტავს მას. იესოს კვალში სიარული ამქვეყნიური უსაფრთხოებისა და ნუგეშის ძიებას კი არ ნიშნავს, არამედ მასთან ერთად მამის ხელთ ყოფნას, მხოლოდ მისი სასუფევლის დადგომის ძიებაში. დიახ, იესო, გავიგეთ, ცოტათი მაინც... მაგრამ შენთან ყოფნა გვსურს!

3 ივლისი

წმ. თომა მოციქული (დ) [ს] წ

2012 სამშაბათი

ეფ 2,19-22; ფს 116; იო 20,24-29

# ურწმუნო კი ნუ იქნები, მორწმუნე იყავ იო 20,27

გამოცდილება, რომელიც წმიდა თომამ მკვდრეთით აღმდგარ ქრისტესთან შეხვედრით მიიღო, ჩვენთვის ,გაკვეთილია': ეს უფალს ვერწმუნებით ხოლმე, როცა მდაბლად და მადლიერებით ვიღებთ იმ დამოწმებას, რომელსაც ჩვენი ძმები გვთავაზობენ; მათი სიხარული, თუნდაც გასაჭირში, და მათი ერთგული სიყვარული გვანიშნებს, რომ იესო ცოცხალია მათ გულებში! და ჩვენც მოვიკრებთ სიმამაცეს, რომ მივენდოთ მას!

# 4 ივლისი

რიგ. ჟ. XIII კვირა [I] მწ

წმ. ელისაბედ პორტუგალიელი † 1336

2012 ოთხშაბათი

ამოს 5,14-15.21-24; ფს 49; მთ 8,28-34

## ეძიეთ სიკეთე და არა ბოროტება ამ 5,14

ეს მარტივი, მაგრამ ბრძნული მითითებაა, როგორც სულიწმიდისგან მომავალი ყოველი სიტყვა.
სულიწმიდავ, დღესაც მსურს, გისმინო, და ყურადღებით მოვეკიდო შენს ნიშნებს, შენს ხმას, რომელიც სწვდება ჩემს გულს, როცა ის ფხიზლობს: შენ იესოს სიტყვებს მახსენებ!

# 5 ივლისი

რიგ. ჟ. XIII კვირა [I] მწ

წმ. ანტონ მარია ზაქარია, ხუც. †1539

2012 ხუთშაბათი

ამოს. 7,10-17; ფს 18; მთ 9,1-8

## ისიც წამოდგა და წავიდა თავის სახლში მთ 9,7

ასე მოიქცა დავრდომილი, რომელსაც იესომ მიუტევა და განკურნა. სწორედ ასე მემართება მეც, როცა იესო თავისი გულმოწყალე და მხსნელი სიტყვით მომმართავს. ასეთ დროს ფეხზე ვდგები: ისევ კმაყოფილი ვარ, რომ ვცოცხლობ, სიცოცხლის გაგრძელება ძალმიძს, და ახალი სიყვარულით ვუბრუნდები ყოველდღიურ ურთიერთობებს და საქმიანობას. თითქოს შენ, იესო, მოდიხარ ჩემთან ერთად, ცხოვრობ ჩემთან ერთად. მეტიც, ზუსტად ასეა!

# 6 ႨႥႪႨႱႨ

რიგ. ყ. XIII კვირა [I] მწ

წმ. მარია გორეტი, ქალწ. და მოწ.

2012 ႮႠႰႠႱႩႤႥႨ

ამოს. 8,4-6.9-12; ფს 118; მთ 9,9-13

## წყალობა მსურს და არა მსხვერპლი მთ 9,13

იესო, შენ გსურს, რომ ,სიყვარულის‘ ბაღში ვიღვაწოთ! არ იწონებ მარხვის სიმკაცრეს, რომელმაც, შესაძლოა, სიამაყის გაღვივებას შეუწყოს ხელი. გსურს, რომ გულ-მოწყალება ვთესოთ, და ამისთვის უამრავ დიდ თუ პატარა შესაძლებლობას გვთავაზობ: გაღვივებული კვირტები სიხარულს მიანიჭებენ მამას და ჩვენს ძმებს!

# 7 ივლისი

რიგ. ქ. XIII კვირა [I] მღ

2012 შაბათი

ამოს.9,11-15; ფს 84; მთ 9,14-17

## ახალ ღვინოს ახალ ტიკებში ასხამენ მთ 9,17

უფალო იესო, მას, ვინც შენ შეგხვდა და იცის, რომ შენ გიყვარს ის და მისი მხსნელი ხარ, აღარ შეუძლია ღმერთთან საკუთარი ურთიერთობის დაყვანა რაიმე, მეტ-ნაკლებად ანგარებიან, რიტუალამდე. ასეთი ადამიანის ცხოვრება შენით არის სავსე და, შენი მასთან და მისთვის ყოფნის წყალობით, ყოველი მისი ამოსუნთქვა მამის მიერ მოწონებული მსახურებაა. ეს ,ახალი ღვინოა', რომელიც მხოლოდ სულიწმიდით აღსავსე გულში შეძლებს დავანებას.

# 8 ივლისი

რიგ. ჟ. XIV კვირადღე, «ბ» [II] მწ

2012 კვირა

ეზეკ. 2,2-5;ფს 122; 2კორ 12,7-10; მარ 6,1-6

## როცა უძლური ვარ, მაშინ ვარ ძლიერი 2კორ 12,10

წმიდა პავლეს ეს სიტყვები ძვირფასი გასაღებია, რომელსაც უნდა ფლობდეს ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი: ჩვენი ‚სიმცირე‘,—და ეს ტერმინი მოიცავს ჩვენს საზღვრებს, დამარცხებებს... ყველაფერს, რაც ტანჯვას განგვაცდევინებს,—თავმდაბლობით გაცნობიერებული და მამისადმი მინდობილი, იქცევა მისი დიდების, სიყვარულის, მისი ხსნის იარაღად.

# 9 ႨႥႪႨႱႨ

რიგ. ჟ. XIV კვირა [II] მღ

წმმ. ავგუსტინე ჟაო რონგი და მეგობ.,
ჩინელი წამებულნი †1648-1930

2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

ოს.2,16-18.21-22; ფს 144; მთ 9,18-26

## გულითადად ველაპარაკო ოს 2,16

რა ნაზი სიტყვები და სურათები მოიშველიე, მამაო, უძველესი დროიდან დღემდე, შენი ხალხისთვის შენი სიყვარულის საჩვენებლად! შენ გსურს გაგვაგებინო, რომ შენს მიმართ გახსნილობა იმაზე დიდი ბედნიერების წყაროა, ვიდრე ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს.

დღეს ორშაბათია, წინ საქმეებით დატვირთული კვირა მელის. მაგრამ მსურს გულის და გონების გახსნა შენი ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნაზე, შენი ხმისადმი: არ მსურს „ფუჭად გავფლანგო“ შენი სიყვარული.

# 10 ივლისი

რიგ. ქ. XIV კვირა [II] მღ

(27.VI) წმ. გიორგი მთაწმინდელი (მ)

2012 სამშაბათი

ოს.8,4-7.11-13; ფს 113B; მთ 9,32-38

## ხალხის ბრბო რომ დაინახა, შეებრალა ისინი მთ 9,36

ამ სიბრალულის გრძნობის კარნახით იესო მოწაფეებს სთხოვს, ილოცონ: მხოლოდ მამას ძალუძს მოავლინოს სახარების ჭეშმარიტი მუშაკები, სულიწმიდის მატარებლები, რომელთაც ადამიანთათვის იმედის, ახალი სიცოცხლის მიცემის უნარი გააჩნიათ.

მამაო, მეც ვლოცულობ შენს მიმართ, იესოს სურვილის თანახმად, და ჩემი დღევანდელი ძალისხმევა ჩემს მდაბალ ლოცვას უერთდება!

# 11 ივლისი

წმ. ბენედიქტე, აბატი, †547
ევროპის მფარველი (დღ)

## 2012 ოთხშაბათი

იგავ 2,1-9; ფს 33; იო 15,1-8

# თქვენ ჩემში დარჩით, მე კი — თქვენში იო 15,4

აი, რას ითხოვს ჩვენგან იესო, რამეთუ ვუყვარვართ და იცის, რომ მის გარეშე ვერაფერს გავხდებით! მაშ, გამხნევდი! აღმოვაჩინე, რომ ღატაკი, არასრულყოფილი და უსარგებლო ვარ, ან, სულაც სამყაროს ვამძიმებ? ჩემი ცოდვის მძიმე შედეგებს ვატარებ, კვლავაც ამ ცოდვას ვუბრუნდები? სიყვარულით შევხედავ იესოს, მის გულს მივანდობ ჩემ სიცოცხლეს: მას ძალუძს კიდევ ერთხელ მიხსნას, მეტიც, ის ფასეულად მაქცევს თავისი სასუფევლისთვის! წმიდაო ბენედიქტე, მრავალი სუსტი და წმიდა მოწაფის მოძღვარო, ილოცე ჩვენთვის!

# 12 ივლისი

რიგ. ჟ. XIV კვირა [II] მწ

## 2012 ხუთშაბათი

ოს. 11,1.3-4.8-9; ფს 79; მთ10,7-15

## მე წმიდა ვარ თქვენში ოს 11,9

უფალო იესო, შენა ხარ მამის სრული ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნა, დაპირებული სიახლოვე, რომელსაც ასე ელოდნენ ძველ ისრაელში: შენში მამა თავის სიყვარულს გვიბოძებს, გვიხსნის, შეგვინდობს, მართლებად და თავისუფლებად გვაქცევს, სიყვარულის უნარს გვანიჭებს. შენ ამის საფასურს იხდი, თანაც როგორს! გმადლობთ, იესო, რომ მუდამ ჩვენთან ხარ!

# 13 ႨႥႪႨႱႨ

რიგ. ჟ. XIV კვირა [II] მწ

წმ. ჰენრიხი, † 1024
(30.VI) წმ. დინარ დედოფალი

2012 ႮႠႰႠႱႩႤႥႨ

ოს.14,2-10; ფს 50; მთ 10,16-23

## აჰა, მე მიგავლენთ თქვენ, როგორც ცხვრებს მგელთა შორის მთ 10,16

შენი ერთგული და მოთმინებით აღსავსე ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნა ჩემს გულში თანდათან მგლიდან კრავად მაქცევს. გმადლობ, იესო! შენ მეც მაქცევ ,საზრდოდ', რომლის შეწირვაც შეგეძლება!

# 14 ივლისი

რიგ. ქ. XIV კვირა [II] მწ

წმ. კამილო დე ლელისი †1614
კამილიელთა ორდენის დამაარსებელი

2012 შაბათი

ეს 6,1-8; ფს 92; მთ 10,24-33

## ბევრ ბეღურაზე უკეთესნი ხართ მთ 10,31

**უფალო იესო, ამ სიტყვებით გვამხნევებ, რათა არ შევშინდეთ, როცა მოგვიხმობ, ყველას წინაშე ვთქვათ, — სიტყვით ან ქცევით, — რომ გვსურს, შენი მორჩილნი ვიყოთ! შენ გვახსენებ, რომ მამის ხელთ ვართ, მუდამ ძვირფასნი მის თვალში: და ჩვენი შიში ქრება!**

# 15 ႨႥႪႨႱႨ

რიგ. ჟ. XV კვირადღე, «ბ» [III] მწ

## 2012 ႩႥႨႰႠ

ამ 7,12-15; ფს 84; ეფ 1,3-14; მარ 6,7-13

## სდევნიდნენ მრავალ ეშმაკს მარ 6,13

იესოს მიერ მივლენილმა მოციქულებმა, რომლებმაც მისგან უწმიდურ სულებზე ხელმწიფება მიიღეს, შეძლეს ამ დიდი, საღვთო ამოცანის შესრულება. როცა უფლის ჭეშმარიტ მოწაფეს ვხვდები, მეც ვიღებ მშვიდობას, ვთავისუფლდები უარყოფითი ძალებისგან, რომლებიც მტანჯავენ. გმადლობთ, იესო, რომ კვლავაც მოავლენ სამყაროში შენს მოწაფეებს!

# 16 Ⴈ Ⴅ Ⴊ Ⴈ Ⴑ Ⴈ

რიგ. ჟ. XV კვირა [III] მწ.

კარმელის მთის წ. ქალწული მარიამი

2012 Ⴍ Ⴇ Ⴞ Ⴘ Ⴀ Ⴁ Ⴀ Ⴇ Ⴈ

ეს 1,10-17; ფს 49; მთ10,34-11,1

## ისწავლეთ სიკეთის ქმნა ეს 1,17

**ესაიას ეს ნაწყვეტი ჩვენთვის მუდამ აქტუალურ სწავლებას შეიცავს: ჩვენი ღმერთის მოსაწონი ლოცვა ის არის, რომელსაც თან ახლავს წმიდა ცხოვრება, ანუ ცხოვრება, სავსე მისით — ღმერთით, მისეული გულმოწყალებითა და სიყვარულით, რომელიც კონკრეტულად შეეწევა და თავად კისრულობს საფასურს.**

# 17 ႨႥႪႨႱႨ

რიგ. ქ. XV კვირა [III] მწ.

2012 ႱႠႫႸႠႡႠႧႨ

ეს 7,1-9; ფს 47; მთ 11,20-24

## თუ თქვენ არ გწამთ, იმიტომ, რომ ურწმუნონი ხართ ეს 7,9

მწამს, იესო! შენ ახლა აქ ხარ ჩემთან და გიყვარვარ! ჩემდამი შენი სიყვარული ყოვლისშემძლეა! შენთან ერთად ვაგრძელებ მამისკენ სვლას: შენ გიმზერ და არც ჩემი და არც ჩემი ძმების სისუსტის არ მეშინია.

18 ႨႥႪႨႱႨ

რიგ. ჟ. XV კვირა [III] მწ.

2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

ეს 10,5-7.13-16; ფს 93; მთ 11,25-27

## ყოველივე ჩემი მამის მიერ გადმომეცა მე მთ11,27

იესო, მამამ მთლიანად გიბოძა თავისი თავი; შენ, როგორც ნამდვილმა ძემ, მიიღე სიყვარულით, სიხარულით და მშვიდობით აღსავსე მისი სიცოცხლე. მამის მსგავსად შენ თავადაც ხარ სიყვარული და შენ გვიბოძებ სიცოცხლეს შენი თავის გაზიარებით ჩვენთან, ვინც შენთან მოვდივართ: სიყვარულით გაერთიანებულნი, მამა და ძე გვიბოძებთ თქვენ სიცოცხლეს, რომელიც ერთია და სიყვარულია. გმადლობთ!

# 19 ივლისი

რიგ. ჟ. XV კვირა [III] მწ.

## 2012 ხუთშაბათი

ეს 26,7-9.12.16-19; ფს 101; მთ11,28-30

## **ჩემი უღელი ადვილია** მთ 11,30

უფალო იესო, მეც სიხარულით შემიძლია ამის დამოწმება! მაშინაც, როცა შეცდომას მისწორებ და კვლავ მიხმობ შენთან, გულში ვგრძნობ, რომ ამას სიყვარულით აკეთებ, იმიტომ აკეთებ, რომ გიყვარვარ: შენთვის მნიშვნელოვანია, რომ მე მარად ბედნიერი ვიყო!

# 20 ივლისი

რიგ. ჟ. XV კვირა [III] მწ.

წმ. აპოლინარიუსი, ეპ. და წამ., †II ს.

2012 პარასკევი

ეს 38,1-6.21-22.7-8; ფს: ეს 38,10.11.12.16; მთ 12,1-8

## ვისმინე შენი ვედრება, დავინახე შენი ცრემლები ეს 38,5

მშვენიერია უფლის ეს სიტყვები! მოვისმინოთ დღეს ისინი მადლიერებითა და ნდობით, როგორც თითოეული ჩვენგანისთვის წარმოთქმული: მამა იღებს ჩვენს ლოცვასა და ცრემლებს; ის უკვე ამზადებს ჩვენთვის ღმერთის საკადრის პასუხებს, ღმერთისა, რომელიც არის სიყვარული!

# 21 ႨႥႪႨႱႨ

რიგ. ქ. XV კვირა [III] მწ.
წმ. ლავრენტი ბრინდიზელი, ხუც.-მოძ. †1619;
(8.VII) წმ. მოწამე მირდატ მეფე †410

2012 ႸႠႡႠႧႨ

მიქ.2,1-5; ფს 9B; მთ 12,14-21

**მამა პავლე შჩეპანეკის მოხსენიება (†1999)**

## მრავალი გაჰყვა მას მთ 12,15

...მიუხედავად იმისა, რომ ის უკან იხევდა ფარისეველთა წინაშე, რომლებიც მის მოკვლას ლამობდნენ. დიახ, რადგანაც იესოს ასეთ დროსაც შეეძლო ავადმყოფთან შეჩერება და ბავშვების დალოცვა, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე დაუფიქრებლად. მისი სიცოცხლე იყო მამა, მთელი მისი სიცოცხლე მამისადმი სიყვარულით იყო მოცული...
და მამის ხელთ მინდობილი, ის მშვიდად განისვენებდა.

# 22 ივლისი

რიგ. ჟ. XVI კვირადღე, «ბ» [IV] მწ

2012 კვირა

იერ 23,1-6; ფს 22; ეფ 2,13-18; მარ 6,30-34

## უამრავი ხალხი რომ დაინახა, შეებრალა ისინი მარ 6,34

უფალო იესო, კეთილო მწყემსო, მამის გულის სადგომო, გმადლობ შენი მზერისთვის, რომელიც მუდამ ჩემსკენაა მომართული, და გმადლობ, რომ ძლვნად მიბოძებ შენს მზერას! მეც შევძლებ, სიყვარულით —შენი სიყვარულით, ვუმზირო ყოველ ადამიანს!

# 23 ივლისი

წმ. ბრიგიდა, (†1373) მონაზონი
ევროპის მფარველი (დ) ს თ

2012 ოთხშაბათი

გალ 2,19-20; ფს 33; იო 15,1-8

## ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი ბევრ ნაყოფს ისხამს იო 15,5

ღვთის სასუფევლისადმი ჩემი მცირე მსახურების გან-საკუთრებულ ნაყოფს ვერ ვხედავ... მაგრამ ვიცი, რომ იესოს არ სურს, გული გავიტეხო; მისთვის კმარა, რომ მასთან ერთად ვისუნთქო მისი სიცოცხლე, სულიწმიდა, რომელიც არის სიყვარული, სიხარული, მშვიდობა... მის სიცოცხლეს შეერთებული, ჩემი სიცოცხლეც მარად ძვირფასია მამის თვალში!

გმადლობთ, წმიდა ბრიგიდა: იესოში შენი დარჩენა დღესაც კურთხევაა, ჩვენთვის და მთელი ევროპისთვის!

# 24 ივლისი

რიგ. ჟ. XVI კვირა [IV] მწ.

წმ. სარბელიუს მახლუფი, ხუცესი, †1898

2012 სამშაბათი

მიქ. 7,14-15.18-20; ფს 84; მთ 12,46-50

## კვლავ შეგვიბრალებს ჩვენ მიქ 7,19

რა დამემართებოდა, უფალო, ეს ასე რომ არ იყოს? ზოგჯერ მიჭირს იმის დაჯერება, რომ შენ კვლავაც ძალგიძს ჩემი მიღება და პატიება... მართლაც განვაგრძობ დაცემას! მაგრამ, შენი მადლის წყალობით, ერთ დავალებას მუდამ ხალისით ვიტვირთავ: ეს არის რწმენა იმისა, რომ მამა არასდროს დაიხშობს თავის გულს ჩვენთვის! შენ, იესო, და შენთან ერთად შენი ეკლესია ამას მტკიცედ მიცხადებთ!

25 ႨႥႪႨႱႨ

რიგ. ჟ. XVI კვირა [IV] მწ.

წმ. იაკობ მოციქული (დ);

(12.VII) ღირსნი იოანე და გაბრიელ ათონელნი

2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

2კორ 4,7-15; ფს 125; მთ 20,20-28

# მწამდა და ამიტომ ვლაპარაკობდი 2კორ 4,13

დღევანდელი ფრაგმენტი შეირჩა მოციქულ იაკობის დღესასწაულისთვის და ის გვახსენებს, რომ, როგორც მოციქულების დამოწმება ეფუძნებოდა უფლის რწმენას, ისე იესოს ყოველი მოწაფის სიტყვებია ნაყოფიერი, თუ უფალთან ცოცხალი და მუდმივი ურთიერთობიდან მომდინარეობს.

წმ. იაკობ, იესოს ტანჯვათა მოწმევ, მოგვიპოვე ჩვენ მისგან ერთგულება, სიხარული და დამოწმების სიტყვები!

26 ႨႥႪႨႱႨ

რიგ. ჟ. XVI კვირა [IV] თ

წმიდანი იოაკიმე და ანა,

მშობელნი ნეტარი ქალწული მარიამისა, (მ)

2012 ႾႳႧႸႠႡႠႧႨ

იერ 2,1-3.7-8.12-13; ფს 35; მთ13,10-17

## დაეხშო ამ ხალხს გული მთ13,15

ეს იყო ხალხი, რომელიც ღმერთმა აირჩია, რათა ყველა ხალხებისთვის ექცია კურთხევის იარაღად... თუმცა ისრაელში, მრავალთა გულებში სხვა ინტერესებმა დაიკავეს ღმერთის ადგილი. მაგრამ თქვენ, წმიდანო იოაკიმე და ანა, უფალს საკუთარი გული შესწირეთ და უფალი ამეტყველდა. მისი სიტყვა თქვენთვის იყო მარიამი, ღვთის სიტყვის განთიადი!

# 27 ივლისი

რიგ. ქ. XVI კვირა [IV] მწ.

## 2012 პარასკევი

იერ 3,14-17; ფს: იერ 31,10-13; მთ 13,18-23

### **მოისმინეთ მთესველის იგავი** მთ 13,18

რატომ ანიჭებს იესო ესოდენ მნიშვნელობას მთესველის იგავს? უდავოდ იმიტომ, რომ მასში საუბარია თესლზე, რომელიც არის ღვთის სიტყვა. იესოს სიტყვა, მოსმენილი და განცდილი, სიცოცხლისა და ხსნის წყაროა. გმადლობ, იესო, სიტყვისთვის, რომელსაც დღეს ჩემს გულში თესავ!

# 28 ივლისი

რიგ. ქ. XVI კვირა [IV] მწ.

წმმ. ივლიტა და კვირიკე, წამ. († ~.305წ.)

2012 შაბათი

იერ 7,1-11; ფს 83; მთ 13,24-30

## განა კარგი თესლი არ დათესე შენს ყანაში? მთ 13,28

ჩვენი სიცოცხლის გარიჟრაჟზე და ყოველი დილის გათენებისას, შენ, უფალო იესო, სანამ ჩვენ ლოცვით გეძიებთ, უხვად თესავ ჩვენს გულებში ნდობის, გულმოწყალების, მშვიდობის თესლებს. თუმცა, არსებობს ისიც, ვისაც არც შენ უყვარხარ და არც მე და სიკვდილის თესლს აპნევს ის, სადაც შენ სიყვარული დათესე; ვიფხიზლებ, შენს სიახლოვეს დავრჩები, ვისაც გიყვარვარ და ძალგიძს ჩემი დაცვა კაცთა მტრისაგან!

29 ივლისი

რიგ. ქ. XVII კვირადღე, «ბ» [I] მწ

2012 კვირა

4მეფ 4,42-44; ფს 114; ეფ 4,1-6; იო 6,1-15

## მოაგროვეთ ნარჩენები, რომ არაფერი არ დაიკარგოს იო 6,12

მოწაფეები დაემორჩილდნენ იესოს და მორჩენილი პურის ნაჭრებით თორმეტი კალათი აავსეს. იესოს სიტყვა წინასწარმეტყველებად იქცევა: მამის მიერ ბოძებული პური ერთადერთი ნიშანია ჭეშმარიტი პურისა, რომელიც მარად დარჩება მოციქულთა ხელებში: ისინი ყოველთვის შეძლებენ სამყაროს შიმშილთან გამკლავებას!

# 30 ႨႳႪႨႱႨ

რიგ. ქ. XVII კვირა [I] მწ.

წმ. პეტრე ქრიზოლოგი, ეპ. და მოძ. †450

2012 ႭႰႸႠႡႠႧႨ

იერ 13,1-11; ფს: მსაჯ. 32,18-21; მთ 13,31-35

## იგავებით გავხსნი ჩემს პირს მთ 13,35

გმადლობთ, იესო, სიყვარულის სიბრძნისთვის, რომელიც შენს იგავებშია! შენ სასუფეველზე გვესაუბრები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული მაგალითებით. ამგვარად ვსწავლობთ შენგან ყოველივე ჩვენს გარშემო არსებულის ახლებურად ‚წაკითხვას', მსგავსად წერილისა, ამბორისა, მამის მარად ახალი და ცოცხალი სიყვარულისა.

31 ივლისი

რიგ. ქ. XVII კვირა [I] მწ.

წმ. ეგნატე ლოიოლა, ხუც. †1556

2012 სამშაბათი

იერ 14,17-22; ფს 78; მთ 13,36-43

## ნუ დაარღვევ შენს აღთქმას ჩვენთან იერ 14,21

გასაოცარია შენი აღთქმა, უფალო! ამგვარად გალობს მეფსალმუნე და ასევე ვგალობ მეც, მამაო, და მადლობას გწირავ ჩვენთვის იესოს უსასრულო ძღვენისთვის: მასში შენ გამოისყიდი ყოველ ჩემს ცოდვას, მტიც, ამარცხებ ჩემს სიკვდილს: ამიერიდან არაფერს ძალუძს, მომწყვიტოს შენს გულს!